კარტოგრაფიის ხუთი ასპექტი

თენგიზ გორდეზიანი
ელ. ფოსტა tengiz.gordeziani@tsu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ჭავჭავაძის გამზ. 3.

თანამედროვე კარტოგრაფია რთული სისტემაა, რომელიც თავისი საგნისეული, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური და გამოყენებითი კუთხით ხუთი ასპექტით მოიაზრება.

1. კარტოგრაფია, როგორც აკადემიური მეცნიერება. კარტოგრაფიის ეს ასპექტი პირდაპირი გნოსეოლოგიური დანიშნულებისაა და რეალობის იმ მხარეს იკვლევს, რომელსაც მეცნიერებათა სისტემის არცერთი სხვა წევრი არ ეხება. კარტოგრაფია წმინდა ხოროლოგიური მეცნიერების რანგში გამოდის. იგი, ამ საგნებისა და მოვლენების მხოლოდ ხოროლოგიურ მხარეს იკვლევს, იყენებს რა ამ პროცესში თავის საკუთარ სპეციფიკურ ენას. აქედან გამომდინარე, კარტოგრაფიას თავისი ერთგვარი "ავტონომიური" ადგილი უკავია მეცნიერებათა საკლასიფიკაციო სისტემაში.

2. კარტოგრაფია, როგორც ტექნოლოგიურ საშუალებათა სისტემა. მეცნიერებასა და პრაქტიკაში, კომპიუტერული ტექნიკის დანერგვამდე, კარტოგრაფიის ეს ასპექტი კარტოგრაფიულ წარმოებად მოიხსენიებოდა. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გეოინფორმაციული ტექნოლოგიებისადმი მეცნიერებათა სისტემიდან ყველაზე მგრძნობიარე სწორედ კარტოგრაფია აღმოჩნდა და მის სისტემაში წარმოიშვა ერთგვარი ტექნოლოგიური მიმართულება – გეოინფორმაციული კარტოგრაფირება, რომელიც ცოტა მოგვიანებით კარტოგრაფიული ციკლის კონცეფციად ჩამოყალიბდა.

3. კარტოგრაფია, როგორც მეთოდოლოგიური სისტემა. Mმეცნიერების არსებობიდან მოყოლებული დღემდე არ ყოფილა, და მითუმეტეს ამჟამად, არ არის არცერთი შემთხვევა, რომ კონკრეტული სამეცნიერო გამოკვლევა, რომელიც ტერიტორიასთან მიმა-რთებაში ტარდება, განხორციელდეს რუკის ან სხვა კარტოგრაფიული გამოსახულების გვერდის ავლით.Aაქედან გამომდინარე, ყველა ანალოგიურ მეცნიერებაში კარტოგრაფია მეთოდის სახით "ზის" და ამ მეცნიერების სისტემურ ერთიანობას ემსახურება.

4. კარტოგრაფია, როგორც სამხედრო დარგი. სამხედრო კარტოგრაფია სამხედრო ტოპოგრაფიასთან ერთად ამჟამად წარმოადგენს კონკრეტული ქვეყნის თავდაცვისუნარიანო-ბის უზრუნველყოფის ერთგვარ საფუძველს. აქედან გამომდინარე, სამხედრო კარტოგრა-ფია არის არა მარტო სასწავლო დისციპლინა ყველა საფეხურის სამხედრო პროფილის სასწავლებლებისათვის, არამედ იგი კარტოგრაფიის, როგორც სისტემის, შემადგენელი ნაწილია, რომელსაც გააჩნია თავისი საგანი, მეთოდი და კონკრეტული ამოცანები.

5. კარტოგრაფია, როგორც ხელოვნება. კარტოგრაფიის ერთ-ერთ ადრინდელ განმარტებაში იგი მოიხსენიება, როგორც ხელოვნება, მეცნიერება და რუკების დამზადების ტექნოლოგია, აგრეთვე მათი, როგორც მეცნიერული დოკუმენტებისა და ხელოვნების ნაწარმოებების შესწავლა. მართლაც, ყველა სახისა და შინაარსის კარტოგრაფიული ნაწარმოების შექმნა კარტოგრაფისაგან მხატვრული ხელოვნების სრულფასოვან ცოდნას და სპეციფიკურ ხედვას მოითხოვს.